

**გაეროს ეროვნული საავიაციო აჭარის პილოტაჟორკოლონიური ოსტატორიის ხეობით**

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, შიდა-მთიან რაიონებში - 12-17, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

**ქართული**

**21 მარტი ქართული ჟურნალისტების დღეა!**

საქართველოს განათლების მინისტრის თანამდებობაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გიორგი ამილახვარი წარადგინა, რომელიც მანამდე პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ხელმძღვანელობდა. მას პარლამენტში ქართული ოცნების საარჩევნო სიით გიორგი ჩაკვეტაძე შეცვლის. ჩვენ გვჭირდება კარგი მენეჯერები, დარგის მენეჯერები, - განაცხადა პრემიერმა ახალი მინისტრის წარდგინას. რაც შეეხება ყოფილ მინისტრ მიხეილ ჩხენკელს, ის მუშაობას გააგრძელებს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა სერბეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის სპიკერ გლადიმირ ორლიჩს უმსახიბლა, რომელიც საქართველოში დელეგაციასთან ერთად, ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. შეხვედრაზე, საქართველოსა და სერბეთის შორის ბოლო წლების განმავლობაში ურთიერთობების განვითარების დინამიკა დადებითად შეფასდა. ყურადღება გამახვილდა საქართველოსა და სერბეთის შორის თანამშრომლობაზე ევროკავშირში გაწევრიანების საკითხებთან დაკავშირებით.

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი გერმანიის ელჩის საქართველოში ერნსტ პეტერ ფიშერს შეხვდა. „დღეს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში, გერმანიის ელჩის საქართველოში ერნსტ პეტერ ფიშერს შეხვედრით. ვისაუბრეთ საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე არსებულ პრობლემებზე, ასევე, განვიხილეთ სასაპარტოლოში არსებული პრობლემები, პოლიტიკატიმრების საკითხი და 12 რეკომენდაციის შესრულების მნიშვნელობა. გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ევროინტეგრაციას და ამ გზაზე, ღია მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს“, - წერს ხაბეიშვილი.

„გირჩი-მეტი თავისუფლების“ ლიდერმა ზურაბ ჭავჭავაძემ ბრიუსელსა და სტრასბურგში სამი ოპოზიციური პარტიის („დროა“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“) ვიზიტი შეაჯამა და განაცხადა, რომ ევროკავშირის რიგ სტრუქტურებში აქვთ კითხვები, თუ სად არის საქართველო უკრაინის ომის დროს. როგორც მან პრესკონფერენციაზე განმარტა, ოფიციალური სტრუქტურებში ვერ სვდებიან ქართული ოცნების მხრიდან მზაობას, რომ ევროკავშირის ღირებულებებს იზიარებს.

ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, 2019 წლის 21 მარტს დაიბადა პირველი ქართული გაზეთი, რომელსაც სწორედ ასე ერქვა - „ქართული გაზეთი“, ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ კი, 1921 წლის 18 მარტს, პირველი გაზეთი აჭარის რეგიონში - „უწყებები“, რომელმაც ბევრი სახელი გამოიცვალა და დღემდე ამ სახელწოდებით - „აჭარა“ მოაღწია. რა საგულისხმოა, რომ ორივე ასეთი მნიშვნელობის გამოცემა მარტში დაიბადა. „აჭარის“ რედაქციის წევრებს გვამაყვება, რომ ჩვენმა გაზეთმა საუკუნის გაუძლო და სირთულეების მიუხედავად, არც მომავალში აპირებს აფერების დაშვებას. არ გვაფიქვდება, რომ პრესა ყოველთვის იყო საინფორმაციო საშუალებების ფლაგმანი და მიუხედავად დღევანდელი ტექნოლოგიების უსასრულო შესაძლებლობებისა, ის არათუ არ კარგავს თავის მნიშვნელობას და გამოორჩეულობას, არამედ უფრო და უფრო აშკარაა, რომ მოსაფრთხილებელ-შესანარჩუნებელია, რადგან სწორედ პრესის მუშაკების მხვილი კალამი, ანალიზის უნარი, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და პროფესიონალიზმი ათწლეულების განმავლობაში აღბეჭდავდა დროის სუნთქვას, დედამიწის მარცხვანს. ამ საქმეში ქართველმა ჟურნალისტებმა, მათ შორის ჩვენი გაზეთიდანაც შეიტანეს თავიანთი წვლილი. არ შეიძლება დავიწყების ბურუსში დავტოვოთ მათი სახელები, ვინც ქმნიდა ჩვენი გაზეთის სახელს, მშობლიური რეგიონის ისტორიას, ხელს უწყობდა ამ



კუთხის წარმოჩენას და განვითარებას, მოსახლეობის განათლებას და ინფორმირებულობას. სამწუხაროდ, უფრო ადრეულ წლებში მოღვაწეების სახელები თითქმის დაიკარგა, მაგრამ ჩვენ კიდევ გვახსოვს და იმედია, ჟურნალისტთა მომავალი რეგიონის ისტორიას, ხელს უწყობდა ამ

ლი თაობები არ დაივიწყებენ: შოთა ქურდიეს, ალი სამსონიას, ვლადიმერ მარლანდის, რუბენ სირაძეს, არჩილ მიქელთაძეს, გიორგი სალუქვაძეს, ავთანდილ დიასამიძეს, ნეკრო პატარაიას, არჩილ ტოტოჩავას, სერგო კაკაურიძეს, ნუგზარ ჭავჭავაძეს, იური თავდუშაძეს, გოგია ლორთქიფანიძეს, თენგიზ ხომერიკის, ვლადიმერ ცეცხლაძეს, საშა მითაიშვილს, ამირან კაცაძეს, გივი თევზაძეს, რეზო მსხილაძეს... სამწუხაროდ, ყველას ჩამოსათვლელად ადგილი არ გვყოფა.

დღეს ჩვენს გაზეთში ახალი სისხლის გადასხმის არცთუ იოლი პროცესი მიდის. მოდიან ახალგაზრდები, რომლებიც ჯერ უნდა გაიზარდონ, რათა მათი სახელები შემდეგმა თაობებმა დაიმსხვორონ. იმედია, ამ ესტაფეტას წარმატებით გადაიბარებენ.

გაზეთი „აჭარა“ ქართველ ჟურნალისტებს, მასმედიის ყველა წარმომადგენელს ულოცავს ქართული ჟურნალისტიკის დღეს, რომელსაც 1993 წლიდან გვიმოიბოთ ქვეყანაში და ვუსურვებთ მათ ნაკლებად სახელისთვის და მეტად საქართველოს კეთილდღეობისთვის ეღვაწოთ, არა თანამემამულეთა დაპირისპირების, აზრთა და შეხედულებათა კონფლიქტის, არამედ პოლარიზებული საზოგადოების ქვეყნის სიყვარულით გამთლიანების, რადიკალიზმით მიღწეულ ქულეზე უარის თქმის, სიმართლის გზაზე ევლოთ. სხვაგვარი მოქმედება დღეს დანისპირზე მოსიარულე ჩვენი სამშობლოს წინაშე დანაშაულია.

**საქართველოს ეროვნული ნაკრები „რაბზი ევროპის“ გამარჯვებულია**

მანანა კიბიშვილი 598 24 94 97

ქართველმა ბორჯალოსნებმა კვირას ესპანეთში გამართულ ფინალურ შეხვედრაში გამარჯვება იზეიმეს - პორტუგალიელებს ანგარიშით 38:11 სძლიეს და ტიტული მეთხუთმეტედ მოიპოვეს.

ეს ბორჯალოსნებისთვის „რაბზი ევროპის“ ჩემპიონატზე მოგებული მეხუთე მატჩი იყო. მანამდე 28 წაუგებელი სერია ჰქონდათ და იგი 29 მატჩამდე გაზარდეს. ესეც თავისებური რეკორდია. ჩვენმა ნაკრებმა ამ მატჩში მეტოქეს 6 ლელო დაუღო და მძიმე, დაძაბული შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა. ამ შედეგით ჩვენი ნაკრები მსოფლიო რაბზის განახლებულ რეიტინგში მე-11 პოზიციაზე გადაინაცვლებს.

როგორც საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლევან მისაშვილმა აღნიშნა, პორტუგალიის გუნდმა პირველი ნახევარი ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ შესვენების შემდეგ, მეორე ტაიმში, საქართველოს ნაკრებმა შეცდომები გამოსწორა და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა.

ეროვნული ნაკრების კაპიტნის მერაბ შარეიძის თქმით, სასიხარულოა, რომ გუნდმა გაიმარჯვა და ამასთან, რამდენიმე სიმბოლური რეკორდიც დაამყარა.

როგორც ნაკრების წევრმა ბექა გორგაძემ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ფინალი ესპან-



ეთში ჩატარდა, სტადიონზე ქართველი გულშემოყრის მიწის იყო: „კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ სადაც უნდა ჩატარდეს, მიზანს მაინც მივადწევთ. თვენახევარი არ მითამაშია, მაგრამ

გუნდისთვის თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი გააკეთა, რაც შეგვეძლო გავგეგმეთინა“.

ვულოცავთ ქართველ მოარაბეებს ამ დიდ წარმატებას!

ISSN 2720-8702  
9 772720 870003

**გამოიცანით გაზეთი «აჭარა»!**

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სა-დისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დანმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



# მაია ხაჯიშვილი განათლების სართავი სპორტის სპეციალისტის შიხვდა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი განათლების სართავი სპორტის სპეციალისტის, აშშ-ის ცენტრალური სახელმწიფო უნივერსიტეტის Prairie View A&M University - ექსპერტებს, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) ვაშინგტონისა და თბილისის ოფისის წარმომადგენლებსა და დელეგაციის სხვა წევრებს შეხვდა



შეხვედრაზე მინისტრმა ისაუბრა მთავრობის მიერ განათლებისა და მეცნიერების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების თაობაზე, მათ შორის აგრარული განათლების მიმართულებით.

თავის მხრივ, სტუმრებმა აჭარის რეგიონისათვის საპილოტე ექს-

ტენციის მოდელის შემუშავების მიმდინარეობა გააცნეს. აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტი და ბათუმის ორი საჯარო სკოლა, სადაც განვლილი კვირის მანძილზე სტუდენტებისთვის და მოსწავლეებისთვის ვორქშო-



ოფები და ტრენინგები გაიმართა. საუბარი შეეხო Caucasus Agriculture Extension Program-ის ფარგლებში მისიბისა და აიდაშოს უნივერსიტეტებთან ურთიერთთანამშრომლობის და სტუდენტების გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობას. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ სამინისტროს დეპარტამენტის უფროსები.

აჭარის მთავრობის პრესამსახური

## აგვისტოს ომის ბიკრების უკვდავსაყოფად

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

2007 წელს აჭარის ჩემპიონატის სათხილამურო სპორტში გამარჯვებულმა უმასხინძამ. მასინ სწრაფდაშეგებაში პრიზითაა შორის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ბარათაუღლი ამირან მამალაძე იყო. საუბედლოდ, ეს ასპარეზობა მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა - იგი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს ემსხვერპლა. ამ ომმა ასევე შეიწირა ბუთურაულელი იაგო მიქელაძე

მოთხილამურებმა და გოგონებსა და ვაჟებს შორის ყველა საპრიზო ადგილებს დაუფლუნენ. გოგონებს შორის უძლიერესები ნატა მეხეშიძე, ელზა ჩოგაძე, ელენა ტუნაძე იყვნენ, ვაჟებში გიგა ბაქსაძე, ლუკა ჭორბენაძე და მირიან პაქსაძე პირველ-მესამე ადგილებზე გავიდნენ.

გოდერძის სათხილამურო ბაზის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, ხულოში სათხილამურო სპორტს მეტი ყურადღება ეთმობა, - თქვა ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ. ეს დღევანდელ ასპარეზობაზეც გამოიკვეთა. სლალომსა და სხვა სახეობებში უკვე საქართველოს ჩემპიონატის პრიზორებიც გვეყავს.

ტურნირში გამარჯვებულებს თანები, მედლები და საპატიო სიგელები გადასცეს შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მერებმა ომარ ტაკიძემ, ვახტანგ ბერიძემ, საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა გენერალ-მაიორმა კობა კობალაძემ, აგვისტოს ომის გმირის ამირან მამალაძის მამამ გურამ მამ-



ლაძემ. დაწესებული იყო უმცროს ასაკში საუკეთესო მოასპარეზის პრიზი, რომელიც შუახველ ანატასია ტარიელაძეს ერგო.

სოფლის ტურნირს, რომელიც შუახევის მერიის მხარდაჭერითა და შუახევის სასპორტო სკოლის ორგანიზებით, სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში მოეწყო, შუახევისა და ხულოს თვითმმართველობების, აჭარის ვეტერანების საქმეთა

სახელმწიფო სამსახურისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

- შეჯიბრება სანახაობითი და საინტერესო იყო, - გვითხრა კობა კობალაძემ, - ახალგაზრდა მოთხილამურებმა კარგი მომზადება აჩვენეს. აჭარის მთიანეთში სპორტის ამ სახეობის განვითარების საუკეთესო პირობებია, რესურსიც არის და მას გონივრულად გამოყენება სჭირდება.

### უკრაინა

უკრაინაში რუსეთის აგრესია გრძელდება. ფრონტის ხაზის ყველაზე ცხელ წერტილად ისევ დონბასი და დონეცკის ოლქი რჩება, თუმცა ომის შემსწავლელი ინსტიტუტის ექსპერტები აცხადებენ, რომ გასული კვირის განმავლობაში საოკუპაციო ძალების შეტეგით ოპერაციების ტემპმა შედარებით იკლო, რაც, მათივე მონაცემებით, შესაძლოა იმის მანიშნებელი იყოს, რომ რუსეთის ბრძოლა დონბასისთვის კულმინაციას აღწევს. გრძელდება ბრძოლა ბახმუტისთვის, სადაც უკრაინის თავდაცვითმა ძალებმა ლოკალური კონტრშეტეგის ოპერაცია ჩატარეს. შეიარაღებული ძალების ცნობით, უკრაინელმა სამხედროებმა ბახმუტში რუსული არმიის პოზიციებს შეუტეგეს და საბრძოლო ტექნიკა გაანადგურეს.

რუსეთსა და უკრაინის შორის „მარცვლეულის შეთანხმება“ 120 დღით განხანგრძლივდა. ცნობას უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრი ადასტურებს. მანამდე რუსული მხარე აცხადებდა, რომ თანახმა მარცვლეულის შეთანხმების განხანგრძლივებაზე, თუმცა მხოლოდ 60 დღით. აღნიშნული შეთანხმება, რომელიც შავი ზღვის გავლით უკრაინული მარცვლეულის ტრანსპორტირებას ითვალისწინებს, გასული წლის ივლისში გაეროსა და თურქეთის შუამავლობით გაფორმდა. ნოემბერში შეთანხმების ვადა კიდევ 120 დღით განხანგრძლივდა. „მარცვლეულის შეთანხმების“ ვადა 18 მარტს იწურებოდა.

პლატფორმა United24-მა უკვე შეაგროვა \$300 მილიონზე მეტი. ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ვიდეომიმართვისას განაცხადა. „ახლახან, ჩვენმა საქველმოქმედო პლატფორმა United24-მა გადალახა 300 მილიონი დოლარის შემოწირულობის ზღვარი. მთელი მსოფლიოდან - 100-ზე მეტი ქვეყნიდან, ათასობით დონორია. ჩვეულებრივი ხალხი, კერძო კომპანიები, რომლებიც გვეხმარებიან ჩვენი სამხედროებისთვის თვითმფრინავების შექმნაში, სასწრაფო დახმარების მანქანების შესყიდვაში, საავადმყოფოებისა და ინფრასტრუქტურის შეკეთებაში“, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა. მან აღნიშნა, რომ ეს არის ერთ-ერთი იმ მრავალ ინიციატივას შორის, რომელიც „აერთიანებს მსოფლიოს“. „მსოფლიო ესმის, რაც ხდება. მსოფლიო ხედავს, როგორ მამაცურად იბრძვის ჩვენი ხალხი. სწორედ ამიტომ ვახერხებთ როგორც წამყვანი სახელმწიფოების, ისე მილიარდობით ადამიანის მხარდაჭერის მობილიზებას მთელს მსოფლიოში. მაღლობა ყველას, ვისაც სჭირა უკრაინის და ვინც გვეხმარება უსაფრთხოების დაბრუნებაში!“, - თქვა ზელენსკიმ.

ესტონეთის თავდაცვის მინისტრმა ჰანო პევეკურმა განაცხადა, რომ ესტონეთში 600 უკრაინელი ქვეითი გაწვრთნეს. „გარდა ამისა, ესტონეთში ექიმები, სნაიპერები და სხვები გაიწვრთნენ. დეტალებ ვერ გეტყვით“, - თქვა პევეკურმა. ესტონეთმა უკრაინას 370 მილიონი ევროს სამხედრო დახმარება გაუწია, რაც მისი მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-ზე მეტია. ამ მაჩვენებლით, ესტონეთი პირველ ადგილზეა მსოფლიოში. „ჩვენ ყველას გვესმის, რომ უკრაინა იბრძვის არა მხოლოდ თავისთვის და უკრაინელი ხალხისთვის. ისინი იბრძვიან თავისუფალი სამყაროსთვის და წესებზე დაფუძნებული სამყაროსთვის. სწორედ ამიტომ უნდა დავეხმაროთ უკრაინას რითაც შეგვიძლია. რა თქმა უნდა, ვიცით, რომ უკრაინას ეს დახმარება ძალიან სჭირდება“, - განაცხადა პევეკურმა. მისივე თქმით, რუსული არმია ბოლო 100 წლის განმავლობაში არ შეცვლილა. „პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს ისინი იყენებდნენ ერთსა და იმავე ტაქტიკას, რაც წარმოუდგენელი სისასტიკე და სამხედრო დანაშაული იყო. ისინი აუპატიურებენ ბავშვებს, კლავენ მშვიდობიან მოქალაქეებს. ასე რომ, ამ თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა რუსეთის სამხედრო სისტემაში. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, ჩვენ ვხედავთ, რომ მძიმე არტილერია და შორ მანძილზე მოქმედი სისტემები ჯერ კიდევ ძალიან საჭიროა. ჩვენ გვევლინა, რომ ახალი ომი მაღალტექნოლოგიური იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არ არის. ეს მაინც მძიმე საარტილერიო ბრძოლაა“, - აღნიშნა ესტონეთის თავდაცვის მინისტრმა. პევეკურის თქმით, რუსეთის საფრთხეს უქმნის ნატოს, როგორც ალიანსი.

მომზადდა ნიკოა ვუტკარაძემ

### შაბათ-კვირის ქრონიკა

ბათუმის საზღვაო აკადემიის სტუდენტები გერმანიაში, ფლენსბურგის უნივერსიტეტში ისწავლიან. 20 სტუდენტი ცოდნას საზღვაო ტრანსპორტის, საზღვაო მეცნიერებისა და ლოჯისტიკის მიმართულებით გაიღრმავებს. ასევე, ახალგაზრდებს მიეცემა საშუალება, გაიარონ პრაქტიკული კურსი გემის მართვის, ნავიგაციური ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების კუთხით. 2023 წელს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სხვადასხვა პროგრამით 400 სტუდენტს დაუფინანსდება საზღვარგარეთ სწავლა და სტაჟირება. აჭარის მთავრობის ხელშეწყობით, 2023 წელს იწყება სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა, რომლითაც აჭარაში მოქმედი სამი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის 1000 სტუდენტი ისარგებლებს.

ბათუმის ხელოვნების ცენტრში წარმოდგენილი იყო კომპოზიტორ ზვიად ბოლქვაძის მუსიკალური მონოდრამა „THE PASSION OF MEDE“ (მედეას ვენებანი), ოთარ ჭილაძის რომანის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ მიხედვით. წარმოდგენა სიმბოლურად ოთარ ჭილაძის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა. მონოდრამა მითოლოგიურ მედეაზეა, მის გრძობებზე, განცდებზე და სიყვარულზე. მონოდრამა მისი მონაგანი მონოლოგია, ჩადენილი დანაშაულის და საკუთარი ცოდვების გააზრებით. მონოდრამაში მედეას როლი თათია თათარაშვილია შესასრულია.

იტალიის ქალაქ პიზაში, მსოფლიო თასის გათამაშებაში, სადაც მსოფლიოს საუკეთესო ბარამოფარტიკაგებები ასპარეზობდნენ, შეჯიბრება საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრების ტრაუმეფთ დასრულდა. ჩვენმა ნაკრებმა ირმა ხეტურაიანი, ნინა თიბილაშვილის და გვანცა ზადიშვილის შემადგენლობით, პოლონეთის უძლიერეს ნაკრებს ფინალში 45:30 მოუგო და ოქროს მედლები მოიპოვა.

ბათუმის სპორტის სასახლეში დასრულდა აჭარის ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელიც 10, 14 და 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებს შორის გაიმართა. შეჯიბრება შევიცარიული სისტემით ჩატარდა. ვაჟები და გოგონები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. გამარჯვებულებით და პრიზორებით აჭარის ნაკრები დაკომპლექტდება, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ჩემპიონატში.

ორი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ბათუმის სპორტის სასახლეში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის და სპორტის დამსახურებული მოღვაწის გელა ჯანელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მასში საქართველოს ყველა რეგიონის ფალანგებთან ერთად, სომხეთის გუნდიც მონაწილეობდა. ტურნირი უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის ჩატარდა. ორგანიზატორების თქმით, შეჯიბრება მომავალში უფრო მასშტაბური გახდება და მასში მონაწილეობას არაერთი ქვეყანა მიიღებს.

ბათუმელმა მოციგურავეებმა წარმატებით ისპარეზეს არაბეთის გაერთიანებული სამამიროების დედაქალაქ აბუ-დაბიში საერთაშორისო ტურნირზე. Basic Nova-ს კატეგორიაში ასპარეზობდა ნიკოლ ფადეევა, რომელმაც 17 ქვეყნის 36 მონაწილეს შორის პირველი ადგილი მოიპოვა, ხოლო ქეთევან მანარაძე ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

მომზადდა ნიკოა ვუტკარაძემ



# „სივილიზებული მსოფლიო ბანკი გამოსტანს რუსეთის პრეზიდენტს“

ლუა ხომეიკი 593 50 82 69

ერთ წელზე მეტია, დამანგრეველ ომს, სიკვდილის კალოს ვუყურებთ უკრაინაში - იავარქმნილი ქალაქები, ათიათასობით დახოცილი, ასიათასობით დაჭრილი, მილიონობით ლტოლვილი სწორედ იმას ცხადყოფს, რომ რუსეთის მთავარი ამოცანა უკრაინის როგორც სახელმწიფოს გაქრობა. უკრაინელთა თავგანწირვა და დასავლეთის მეკავი მხარდაჭერა რომ არა, კრემლი თავის მიზანს მიაღწევდა. დემოკრატიული სამყარო გამოხატავდა დესტრუქციულ ქმედებებს და უკრაინას სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში ეხმარება. ეს არა მხოლოდ სამართლიანობის გამოხატვა, არამედ გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფაქტორების შედეგია. უკრაინის ვითარებაზე დიდადა დამოკიდებული ევროპის და მთელს ევროპას, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავალი. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება ბსუ-ის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი **ლევან ჯაფარიძე**.



ქნელი დაცვის ხაზია, რომლის იქით იწევა ევროპა, ამიტომ ეს თანადგომა გაცილებით უფრო ადრე უნდა გამოეხატა. თუ რუსეთი უკრაინის ბარიერს გადალახავს, მას რაღა გააჩერებს? ვინ გააჩერებს?! უკრაინაში რუსეთის მხრიდან ნატოს შესაძლებლობების დაზვერვა მიმდინარეობს, ანუ სურს ვაივოს, რა შესაძლებლობები აქვს ნატოს სამხედრო, ადამიანური რესურსის თვალსაზრისით. თუკი მოსკოვს თავისი განზრახვა გაუვიდოდა უკრაინაში, მხოლოდ რამდენიმე წელიწადი დასჭირდებოდა საბჭოთა კავშირის დროინდელი გავლენების მსოფლიოში აღსადგენად.

**- ცხადია, რუსეთის პრეზიდენტი საბჭოთა კავშირის აღდგენაზე დიდი ხანია ოცნებობს...**

- დიან, პუტინს არაერთხელ საჯაროდ განუცხადებია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო. ის ასეთ „იდეალებზე“ უარს არ ამბ

რება რაციონალურ ახსნას მისი ქმედებები. რატომ არ ისმება ასეთი კითხვები ისეთივე დიდი სახელმწიფოებისადმი, როგორებიცაა გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი? იმიტომ, რომ ისინი არიან დემოკრატიული, ცივილური სახელმწიფოები, რუსეთი კი ანტიდემოკრატიული, იმპერიალისტური სახელმწიფოა, რასაც უკვე მთელი მსოფლიო აცნობიერებს.

**- უკრაინისადმი დასავლეთის თანადგომა რამდენად მნიშვნელოვანია საბოლოო გამარჯვების თვალსაზრისით და ამ მიმართებით რომელი სახელმწიფოები დომინირებენ?**

- კარგი კითხვაა. უკვე საბოლოოდ, სასწორზე შედგა საკითხი, რუბიკონი გადალახულია, - ახლა ან გამარჯვებას რუსეთი და ამ გამარჯვების შედეგს მოიმკის მსოფლიო, აშშ-ს მოუწევს რუსეთთან შეთანხმება, ანდა გამარჯვებას უკრაინა და ვფიქრობ, მსოფლიო მართლწივით არსებით გადაწყობამდე მივა. ყველა შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ გამარჯვებული მხარე თავის წესებს, პრინციპებს და პირობებს შესთავაზებს მეორე მხარეს. დიან, დიდი ბრიტანეთი, აშშ მკვეთრად ეხმარებიან უკრაინას. რატომ? იმიტომ, რომ ისინი აცნობიერებენ შედეგებს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ვის რა მოლოდინები აქვს თმის შემდგომ მსოფლიო წესრიგზე. ყველაზე დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური მოლოდინები აშშ-ს და დიდი ბრიტანეთს აქვთ. გერმანიას შედარებით ნეიტრალური პოზიცია ჩამოუყალიბდა, განსაკუთრებით ანგელო მერკელის მმართველობის პერიოდში, მაშინ გერმანია საი

ალისტს, თქვენთან ინტერვიუში არაერთხელ მითქვამს, რომ დროთა განმავლობაში რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური ელიტის პასუხისმგებლობა დადგინდება დღის წესრიგში. სამწუხაროდ, საერთაშორისო სამართლის მიხედვით პასუხისმგებელი არ ემინათ, სანქციებს შეეჩვივნენ არა მარტო ხელისუფლება, არამედ მოსახლეობაც. მათ სანქციებით ვერ შეაჩერებენ, რადგან მხოლოდ სამხედრო ენა ესმით და მათი არმია სამხედრო ველზე რომ დამარცხდება, მხოლოდ ამის შემდეგ დაიხრებენ უკან.

**- დაწესებულ სანქციებს აქვს ის შედეგი, რასაც დასავლეთი ელოდა?**

- ნაწილობრივ მიაღწია იმიტომ, რომ უმაღლესი გამოიკვეთა სახელმწიფოები, ბიზნესმენები, ვისაც აწყობთ ეს დაძაბული გარემო - შეზღუდვები, რათა ამ შეზღუდვების გვერდის ავლით მოახდინონ რუსეთის ეკონომიკის გამოკვეთა - თმის დროს ყოველთვის დიდი ფული კეთდება. საერთოდ, ზღვაში რომელი გემები ნაოსნობენ, რა საიდუმლო ტვირთი მიაქვთ, რთულია თქმა. ძალიან ბევრი სუსტი წერტილია რუკაზე. მთელს ევროპას, რომ ბევრი სახელმწიფო არ ერიდება ნამაღლა იმის თქმას, რომ რუსეთთან თანამშრომლობენ. ეს არის ინდოეთი, ირანი, ჩრდილოეთ კორეა... მოკლედ, დასავლეთმა ამ სანქციებზე უარი არ უნდა თქვას.

**- გხვდება, რომ მთელი მსოფლიო ეხმარება უკრაინას, ამ ფონზე ჩინეთის და ირანის პოზიცია როგორია?**

- ვფიქრობ, მათ აწყობთ ამ ომის განხარქმობა, დროში გაწევა. პირველი - ისინი უკვე ექსპლუზურად, შემცირებული ფასებით მარაგებიან რუსეთისგან, ანუ მათთვის რუსეთის დაუძღვრებული ეკონომიკა მისაღებია...

**- ანალოგიურად უნდა დაიწყოს მზადება იმისთვის, როგორ იმოქმედოს, როცა რუსეთის ფედერაცია დაიშლება? - ეს აზრი ფრანგებზე მეტად არის, ვინაიდან მათთვის უკრაინის დაპყრობა უკრაინის დაპყრობაა.**

- თუკი ომი გაგრძელდა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტები დაიშლებოდნენ, რომ კრემლს აღარ ძალუძს შიდა წესრიგის უზრუნველყოფა, ლოგიკურია რუსეთის დაშლა. ეს ქვეყანა რაზე დგას? - შეიარაღებულ ძალებზე. თუკი ჩრდილოეთ კავკასია, ბაშკირეთი, თათრეთი, იქით კურდილოს კუნძულების, აქეთ ვინეთის მოსაზღვრე ტერიტორიის მკვიდრნი დაიწყებდნენ რუსეთის სისუსტეში, არ არის გამორიცხული რუსეთის დაშლა. რატომ არ მთავს კრემლი თავის სამხედრო პოტენციალს ბოლომდე ომში? იმიტომ, რომ ქვეყნის შინაგანი წესრიგი უზრუნველყოფის, საზღვარი ხომ უნდა დაიცვას? ჩემი აზრით, თუ კრემლი რამდენიმე თვეში ვერ გადალახავს უკრაინის წინააღმდეგობას, დაიწყებს ამ ქვეყნიდან გამოსვლაზე ფიქრს. ამას ჩვენ რამდენიმე ხანში ავიცილებლად დავინახავთ.

**- სამხედრო ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აპრილში უკრაინული არმია კონტრშეტევაზე გადავა, რამდენად მოსალოდნელია 2023 წელს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია?**

- ეს გარდაუვალია იმიტომ, რომ დღეს უკრაინა პოზიციების შენარჩუნებას ახერხებს იმ მიზნით, რომ ახალი შეიარაღების, რესურსების, გადამზადების აკუმულაცია მოახდინოს. ვფიქრობ, ერთი თვე ტაქტიკურად გადამლაგოს ძალები და ერთ მშვენიერ დღეს, სავარაუდოდ უახლოეს პერიოდში კონტრშეტევა დაიწყება.

**- დასავლეთი უკრაინის დასახლებულ რაიონებში უკრაინული არმია კონტრშეტევაზე გადავა, რამდენად მოსალოდნელია 2023 წელს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია?**

- ეს გარდაუვალია იმიტომ, რომ დღეს უკრაინა პოზიციების შენარჩუნებას ახერხებს იმ მიზნით, რომ ახალი შეიარაღების, რესურსების, გადამზადების აკუმულაცია მოახდინოს. ვფიქრობ, ერთი თვე ტაქტიკურად გადამლაგოს ძალები და ერთ მშვენიერ დღეს, სავარაუდოდ უახლოეს პერიოდში კონტრშეტევა დაიწყება.

## რატომ არ მთავს კრემლი თავის სამხედრო პოტენციალს ბოლომდე ომში? იმიტომ, რომ ქვეყნის შინაგანი წესრიგი უზრუნველყოფის, საზღვარი ხომ უნდა დაიცვას? ჩემი აზრით, თუ კრემლი რამდენიმე თვეში ვერ გადალახავს უკრაინის წინააღმდეგობას, დაიწყებს ამ ქვეყნიდან გამოსვლაზე ფიქრს. ამას ჩვენ რამდენიმე ხანში ავიცილებლად დავინახავთ

და დაუმტკიცდეს მას, რომ უნდა დაიხლოს უკან. არ შეიძლება, რუსეთმა ცივი ომი განაახლოს იმ სახით, როგორც ჰქონდა საბჭოთა კავშირის დასავლეთთან.

**- ომის რა ფაზა ახლა უკრაინაში?**

- ეს არის საშუალო ფაზა. უკრაინის ბევრ გულშემატკივარს მინდა თვალის დასახელო და ვუთხარა, რუსეთის დამარცხება არც ისე იოლია. ამ ქვეყანას აქვს გამოცდილება, ომის პირობებში როგორ იცხოვროს, როგორ გადაიტანოს შიმშილი, სიცივე, მრავალტანჯული ქვეყანა არა მხოლოდ პოლიტიკის გამო, არამედ საკუთარი ხელისუფლებებისგან. მათ ისტორიულად სწამთ საკუთარი ხელისუფლების, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ბრძალს მმართველების, რომ მთელი რუსეთი რწმენისთვის იბრძვის, ისე, როგორც ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, კრემლმა მასმედიის მეშვეობით დაარწმუნა მოსახლეობა, რომ დღემდე ფაშისტური ებრაელები უკრაინაში. მასმედია მთლიანად კონტროლირებულია, შესაბამისად, ობიექტური ინფორმაცია ბლოკირებულია და არცერთი მოქალაქე ვერ მიდის სწორი ინფორმაცია.

**- როგორც ცნობილია, რუსეთი სამ დღეში აპირებდა კიევის აღებას, მაგრამ ახლა ძირითადი ბრძოლები დონეცკის რეგიონში მიმდინარეობს, ეს რისი მანიშნებელია?**

- თავის დროზე მსოფლიო თანამეგობრობა რომ დამდგარიყო თავის სიმაღლეზე, ანუ არ შეგუებოდა რუსეთის აგრესიას საქართველოსადმი და ყირიმის ანექსიას, უკრაინის პრეცედენტი არ მოხდებოდა. რუსეთი როცა მოძლიერდა, დასავლეთი მაშინ მიხვდა, რომ უკრაინა უკანას

ობს. დაუვიკრიდით, პოსტსაბჭოთა მოსახლეობა როგორაა ორად დაყოფილი, 30 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა, გარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მენტალური მახასიათებლების გარდატეხა და დღემდე საორტოფოა - ევროპულ თუ რუსულ გზას ირჩევენ ეს სახელმწიფოები. საზოგადოებაში მხოლოდ ზედაპირული რწმენის საფუძველზე აკეთებენ განცხადებას, რომ ევროპული მიმართულებებისა, ხოლო რეალობის, გამოწვევის წინაშე როცა აღმოჩნდებიან, უკან იხევენ. მენტალურ ცვლილებას გაცილებით მეტი ძალისხმევა სჭირდება, კერძოდ, განათლება, ცნობიერების ამაღლება და სხვა...

**- ანალიტიკოსთა ნაწილი აცხადებს, რომ დასავლეთის მიზანი რუსეთის გამოფიტვაა ამ ომში - მისი განხარქმობა რამდენიმე წლით, როგორია თქვენი აზრი ამის შესახებ?**

- ექსპერტებს აქვთ ამგვარი განცხადებების უფლება, მაგრამ ოფიციალური, საჯარო თანადგომის პირობები ამას ვერ იტყვიან იმიტომ, რომ ეს არის საერთაშორისო დანაშაული. უკრაინელი ხალხის ხარჯზე უნდა გამოფიტონ რუსეთის მილიტარისტული სახელმწიფო? ანუ გენოციდს უწყობ ოფიციალურად ხელს? ვფიქრობ, რომ ასეთი განცხადებები ძალიან საშიშია, თუმცა არ გამოვირიცხავ, რომ ეს სიმართლე იყოს, შეიძლება რომელიღაც სახელმწიფოების გენშტაბის ან სპეცსამსახურების მაგიდაზე იდოს ეს გეგმა. რასაკვირველია, ამის საფუძველიც არსებობს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: რუსეთმა დღის წესრიგში დააყენა საკითხი მისი დემილტარიზაციის შესახებ იმიტომ, რომ ის საშუალო ქვეყანა და არ ექვემდებარება

მიგრაციო პოლიტიკით დაკავდა იმის ნაცვლად, რომ საგარეო პოლიტიკაზე გაეყვებინა აქცენტი. როგორც ცნობილია, მათ ორჯერ განიცადეს კრიზისი საერთაშორისო პოლიტიკაში და აღარ სურთ მესამეჯერ იგივეს გამოეცხადებინათ, თუმცა ბოლო დროს გერმანია აქტიურად უჭერს მხარს უკრაინას.

**- ექსპერტთა ნაწილი და ასევე, კანადის შეიარაღებული ძალების ყოფილი სარდალი, ფიქრობს, რომ შესაძლებელია უკრაინის მოიშორონ, თქვენი აზრით, როგორ განვითარდება მოვლენები?**

- პროგნოზირება ძალიან რთულია, რადგან ჩვენ არ ვართ რუსეთში, არ ვუთითებთ რუსეთის მოსახლეობასთან და არ ვიცით რევოლუციური განწყობების მოწოდების ხარისხი. მთელს რუსეთს არ ვიცით პუტინის გარემოცვაში არსებული განწყობა. პუტინი საჯარო ადგილებს ერიდება, ბუნებრივად იმალება, რადგან მისი სიცოცხლის გულყოფის შანსები იზრდება, მთელს ევროპას დასავლეთის მხარეს უკრაინის დაპყრობის ფონზე.

**- შააგის სასამართლოს ამ ნაბიჯს - პუტინის დაპატიმრების ორდერის გაცემას როგორ შეაფასებთ?**

- რა თქმა უნდა ეს ისტორიული, უპრეცედენტო გადაწყვეტილებაა ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად. პრაქტიკულად პუტინი იზოლაციაში მოაქციეს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთი არ არის რომის სტატუსის ხელმოწერი ქვეყანა, ანუ მასზე არ ვრცელდება შააგის სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ უდავოა, რომ ცივილიზებულმა მსოფლიომ პრაქტიკულად, განაჩენი გამოუტანა რუსეთის პრეზიდენტს. როგორც საერთაშორისო სამართლის სპეცია

### უხსოვარი

ჩინეთის ლიდერი სი ძინპინი სამდღიანი ვიზიტით მოსკოვში ჩავიდა, სადაც თავის რუს კოლეგა ვლადიმერ პუტინს შეხვდება. კრემლის ინფორმაციით, რუსეთის პრეზიდენტი სი ძინპინთან შეხვედრაზე უკრაინის საკითხს განიხილავს. სი ძინპინი რუსეთს უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყების შემდეგ პირველად ეწვია.

\*\*\*

შააგის სასამართლომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის და ბავშვთა საქმეებში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, მარია ლეგოვა-ბელოვას წინააღმდეგ დაკავების ორდერები გასცა, - ამის შესახებ აღნიშნულია შააგაში მდებარე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრესრელიზში. აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ ეს გამართლებულია და წარმოადგენს ძალიან ძლიერ პოზიციას. აღსანიშნავია, რომ არც რუსეთი და არც ამერიკის შეერთებული შტატები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრები არ არიან.

\*\*\*

თუ უკრაინა რუსეთის ფედერაციასთან ომში დამარცხდება, პოლონეთი იძულებული გახდება კონფიქტში ჩაერთოს, - განაცხადა საფრანგეთში პოლონეთის ელჩმა ან ემერკა რომიშევსკიმ უკრაინისთვის სამხედრო თვითმფრინავების გადაცემის საკითხზე საუბრისას. „დღეს, ან უკრაინა დაიცავს თავის დამოუკიდებლობას, ან ჩვენ იძულებული ვიქნებით ჩავიჭოთ ამ კონფიქტში, რადგან საფრთხე ემუქრება ჩვენს ფასეულობებს, რომლებიც ჩვენი ცივილიზაციის საფუძველია“, - განაცხადა პოლონელმა დიპლომატმა.

\*\*\*

აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა დონალდ ტრამპისთვის ბრალის წაყენების იდეა გააკრიტიკა და პროკურატურის მხრიდან შესაძლო ქმედებას „პოლიტიკურად მოტივირებული“ უწოდა. მისი თქმით, ეს არ არის ის, რისი ხილვაც ამერიკელ ხალხს სურს. „ის ფაქტი, რომ მანჭეტენის საოლქო პროკურორი პრეზიდენტ ტრამპისთვის ბრალდების წაყენებას თავის მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევს, უბრალოდ ამბობს ყველაფერს, რაც უნდა იცოდეთ ამ ქვეყანაში რადიკალი მემარცხენეების შესახებ“, - აღნიშნა პენსმა. გასულ კვირაში, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მას მომავალ სამშაბათს დააკავებენ და მომხრეებს აქციებისკენ მოუწოდა.

\*\*\*

უკრაინამ მიმდინარე წელს კონტრშეტევის შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს, რადგან მომავალში, ახალი მცდელობისთვის, მოკავშირეებისგან დახმარების მიღება უკიდურესად რთული იქნება, - განაცხადა ჩეხეთის პრეზიდენტმა პეტრ პაველმა. „ბევრი ქვეყანა, ბევრი პოლიტიკოსი ელოდება გარკვეულ პროგრესს წელს. ვფიქრობ, რომ უკრაინას დიდი კონტრშეტევის განხორციელების მხოლოდ ერთი მცდელობის საშუალება ექნება. ასე რომ, თუ ეს გადაწყვეტის დიდი კონტრშეტევის წამოწყებას და მარცხს განიცდის, უკიდურესად რთული იქნება შემდეგისთვის დაფინანსების მოპოვება“, - აღნიშნა ჩეხეთის პრეზიდენტმა.

მომზადდა  
ი.ა. შველიძემ

საქართველო

ივ. მე-7 გვ.

მიუსაფარი ცხოველები - ისევ თავშესაფრის ბარეში

მარიამ ხოთარაძე 27 48 93

მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობის პრობლემა ჩვენს ქალაქში აქტუალურად არ კარგავს. იდეებსა და მათ განხორციელებაზე საუბრებს მუდმივად ვისმენთ და დაპირებებსაც ვიღებთ, რომ ამ გამოწვევას ქალაქი სულ მალე გაუმკლავდება. შედეგი დღემდე არ ჩანს, პრობლემა კი სულ უფრო და უფრო დიდ მასშტაბს იძენს

ცხოველები ქუჩაში ცხოვრობენ, მრავლდებიან და ავადდებიან. თავშესაფრის აგებასა და ცხოველების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფას ბათუმის მერია წლებია გვიპირდება.

2 წლის წინ უწყებამ რეკრეაციული სივრცის, ცხოველთა თავშესაფრისა და იზოლაციის მშენებლობისთვის 16 მილიონი გამოჰყო, თუმცა უშედეგოდ.

თუ რამდენიმე მიუსაფარი ცხოველია ქალაქში, ზუსტი ციფრი არავინ იცის, რადგან მათი აღრიცხვა არ ხდება. ოთხჯერა მეგობრებს გულშემატკივარიც მრავლად ჰყავს და მათი აქტიური უფლებადამცველებიც, თუმცა ღირსეული სახორციელებელი გარემოს შექმნა და მათზე ზრუნვა ვერ ხერხდება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ცხოველთმცვერული ქუჩაში მართლად დარჩენილი ცხოველების გამოკვებას ცდილობს, მაინც მრავლად არიან მშვიდი ძაღლები. ბუნებრივია, ზოგი ასეთ დროს აგრესიული ხდება და ბევრი შემთხვევა დაფიქსირდა, როცა ადამიანს ერჩიის.

მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს აღიარებს ბათუმის მერია და აჭარის მთავრობაც. პროექტმა, რომლის განხორციელების

თავს შესაბამისი უწყებები. როცა ეს პროცესი დაიწყება, მაკონტროლებელ ორგანოს ექნება აპარატი, რომლის მეშვეობით დადგინდება პირის, ამ შემთხვევაში, ცხოველის პატრონის მისამართი, ტელეფონის ნომერი და ა.შ. როცა ყველას ეცოდინება, რომ ცხოველი დაჩაბულია, ვეღარ მიატოვებენ, რადგან მას მითითებულ მისამართზე მიაბრუნებენ. ცხოველის მიტოვების შემთხვევაში, მოქალაქეს მაღალი ჯარიმა უნდა დაეკისროს. დიას, ქუჩაში მყოფი ყველა ცხოველი აგრესიულია. ამას შიმშილი, წყურვილი, სიცივე და ადამიანებისაგან სასტიკი მოპყრობა იწვევს. სიცივეში არსად დგას წყლის კონტეინერები. სწორედ ეს ყველაფერი განაპირობებს იმას,



რომ ხანდახან აგრესიით გამოირჩევიან ჩვენი ოთხჯერა მეგობრები. შემთხვევით ხმამაღლა ვთქვა, რომ ამ საკითხში მერიის ჩართულობა არის ნული. არადა, ცხოველთა უფლებებ-

დიდი ხნის წინ ცხოველთა თავშესაფრის პროექტიც მქონდა, 100 ცუგოზე გათვლილი, კვებით და მოვლით, მაგრამ არავინ გაითვალისწინა. არადა, 71 000 ლარზე მეტი არ ჯდება. ახლა სხვა დროა და სხვა თანხები სჭირდება ასეთ თავშესაფარს. ვფიქრობ, როცა მერიაში ამ საკითხზე მსჯელობა განახლდება, აუცილებელია ცხოველთა უფლებადამცველებთან ერთად, ერთობლივად მოხდეს კანონისა და სხვა საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება, - ამბობს ცხოველთადაცველი ბულო ვუბარაძე.

- საგადადებელი უნდა გახდეს ცხოველთა დარბაზი, რათა დავადგინოთ, ვინ დაავადო ქუჩაში ძაღლი. კანონიც უნდა იყოს, სადაც წავიკითხავთ, რომ თუ მე რომელიმე ძაღლი ავიყვანე და შემდეგ გავუშვი ქუჩაში ან მივატოვე, ამისთვის დავისჯები, დამეკისრება ჯარიმა, რომელიც ჩემთვის იქნება მძიმე გადასახდელი. ამიტომ, წინასწარ დაფიქრდები, ავიყვანო თუ არა ცხოველი. ახლა ძალიან პოპულარული გახდა მსგავსი განცხადებები: „საზღვარგარეთ მივდივარ, იძულებული ვარ, ჩემი შინაური ცხოველი დავტოვო, ვინმემ იჩუქეთ“. ასეთ შემთხვევებზე ცხოველთა მოყვარულ ჯგუფებში. მეც ვაპირებ წასვლას საზღვარგარეთ და ჩემს ძაღლს ყველანაირი საბუთი გავუყუთე, რომ ჩემთან ერთად წავიყვანო. მიუხედავად იმისა, რომ 5 კილომდეა, ჩემი კი 15-20 კილოს იწონისო. სწორედ ამიტომ, წინასწარ დაფიქრდით, ბინის პირობებში რამხელა ძაღლი შემეძლო მყოლოდა, რამდენად კომფორტული იქნებოდა სატარებლად და ა. შ. ამზე უნდა დაფიქრდეს ყველა. ძა-

გებს ყუთით მისვამენ სხვადასხვა ადგილას... იმედი აღარ მაქვს, რომ რამე ეშველება ამათ. როგორც მითხრეს, თავშესაფრის თემა ჯერ საპროექტოა. მარტის ბოლოს უნდა გადაეცეს მერიაში, შემდეგ ისევ ტენდერი გამოცხადდება... ალბათ, მინიმუმ, 5 წელი არ გვეღირსება თავშესაფარი. 2-ჯერ გამოცხადდა ტენ-



დერი და კიდევ რას ელოდებიან, არ ვიცი, - გვითხრა ცხოველთა უფლებადამცველმა ნონა ჯიბიაძემ.

- პირველ რიგში, სოფლებშიც და ქალაქებშიც ძაღლების ჩიპირება უნდა მოხერხდეს. ყველა სოფელში და ქალაქში უნდა იყოს მივლენილი პირი, რომელმაც უნდა აკონტროლოს უპატრონოდ მიტოვებული ძაღლები. აუცილებლად უნდა აშენდეს თავშესაფარი. თუ სახელმწიფო ჯერ ვერ აშენებს და არ ხერხდება ამ პრობლემის გადაჭრა, ცხოველთა უფლებების დამცველებს უნდა გადაეცეს ტყის მასივი, სადაც ერთიანი ძაღლებით და სახელმწიფ-

ცხოველის მიტოვების შემთხვევაში, მოქალაქეს მაღალი ჯარიმა უნდა დაეკისროს. დიას, ქუჩაში მყოფი ყველა ცხოველი აგრესიულია. ამას შიმშილი, წყურვილი, სიცივე და ადამიანებისაგან სასტიკი მოპყრობა იწვევს. სიცივეში არსად დგას წყლის კონტეინერები. სწორედ ეს ყველაფერი განაპირობებს იმას, რომ ხანდახან აგრესიით გამოირჩევიან ჩვენი ოთხჯერა მეგობრები

იდეაც ჯერ კიდევ 2020 წელს, ბათუმის ყოფილმა მერმა ლაშა კომახიძემ წამოაყენა, ბათუმელებში დიდი მოლოდინი გააჩინა. 2021 წელს კი ცხოველთა თავშესაფრის მშენებლობის იდეა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემაც აიტაცეს. როგორც არჩილ ჩიქოვანმა მაშინ განაცხადა, საპროექტო სამუშაოების დაწყებამდე გეოლოგიური, ასევე სხვადასხვა კვლევის ნაწილი იყო დასამუშავებელი, ბიუჯეტში კი საჭირო თანხ უკვე გათვალისწინებული გახლდათ. მას შემდეგ ტენდერი 2-ჯერ გამოცხადდა, ორივეჯერ სხვადასხვა კომპანიამ გაიმარჯვა, თუმცა ფაქტია, სამუშაოები ვერ შესრულდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ქალაქის ცხოველთა უფლებადამცველებს გკითხეთ: რა უნდა შედეგად გამოსავლდეს; რამდენად გამართლებს ცხოველთა დარბაზი და მათი კონტროლი; რა პრობლემის წინაშე დგანან უსახლკარო ცხოველები და მათთან ერთად მოსახლეობა; ასევე, რა ინფორმაციას ფლობენ ბათუმის მერია მერ დაფინანსებული ცხოველთა თავშესაფრის პროექტთან დაკავშირებით, რომლის მშენებლობა წლების წინ უნდა დაწყებულიყო?

- გამოსავალი მასობრივი დარბაზი. ძაღლები ძირითადად, სოფლებიდან მოჰყავთ და ქუჩაში ტოვებენ, ტომრებით, უსასტიკესი მეთოდებით... ტომარას თავს უკრავენ თოკით, რომ ცხოველი პატრონს უკან არ გაეკიდოს. არის შემთხვევები, როცა პირდაპირ მდინარეში აგდებენ, ხეზე ჰკიდებენ... საზღვარი არა აქვს ადამიანის სისასტიკეს. ყველაზე კარგი გამოსავალია დარბაზი, რომელიც საკმაოდ ძვირი ღირს და სწორედ ამიტომ იკავებენ

ბის დაცვას 50 წელზე მეტია ვემსახურები და ერთი თეორიაც არ ამოიღია. გაცემული ვარ ამ მხრივ ხალხის დაბალი ინტელექტით, ყველაფერი უკვირთ. პირველი ქალი ვარ აჭარაში, რომელმაც საკვლებში ლექსები წავიკითხე ბავშვებში ცნობიერების ამაღლების მიზნით, კარგი შედეგიც მქონდა. მაგრამ ერთი ადამიანის შემყურე ნუ იქნება საზოგადოება. ყველამ უნდა გაილოს მცირედი, ქუჩის უსახლკარო ცხოველების გამოსაკვებად. მაშინ ისინი აღარ იქნებიან აგრესიულები, მათ ხომ მოფერებაც ენატრებათ... მშვიდი ადამიანი იცით რაზეა წამოცვლილი? მაშ რატომ გვიკვირს ცხოველის, რომელიც თოვლში, ქარში, წვიმაში უსახლოდაა, მშვიდია და იკბინება? რაც შეეხება თავშესაფარს, მეც მანტერესებს, სად წავიდა ის თანხა, რომლითაც თავშესაფრის პროექტი დაფინანსდა, უფრო სწორად, ვის ჯიბეში? ყველას აინტერესებს, რატომ არ აშენდა თავშესაფარი და სად წავიდა თანხები, რომელიც საკმაოდ დიდია. დღეს რომ ყველა თავს დებს ცხოველთა დამცველობაზე, მაშინ სად იყვნენ, როცა ბათუმში მათგან და თოფით კლავდნენ ცხოველებს, შემდეგ იკვირის ორმოში? ჰყრიდნენ და მუავას ასხამდნენ, რომ მალე გახრწნილიყო. ყველა მოგტყუვდით! დაუჩერებელია, რომ მუნიციპალური თავშესაფარი არ გვაქვს. დღეს მერია ურცხვავს თანხებს კერძო თავშესაფარს, სადაც ცხოველებს სტერილიზაცია-კასტრაცია უტარდებიან, მაგრამ ეს არაა საკმარისი ცხოველების იმ რაოდენობისთვის, რაც აჭარაშია. ვფიქრობ, ბათუმის მერია ბოლოს და ბოლოს, გაარკვევს იმ თანხების ბედს, რომელსაც მთელი გულით ველოდებით ნამდვილი ცხოველთა უფლებადამცველები.

ლო, რომელიც უნდა ავიყვანოთ, მთელი ცხოვრება თქვენს მეგობრად რჩება და მისი მიტოვება ისეთივე მძიმეა მისთვის, როგორც თქვენთვის მეორე ადამიანის მიტოვება, როდესაც იქნება სავალდებულო ჩიპირება და გაკონტროლდება ყველა მიტოვებული ცხოველი, ეს პრობლემა მოგვარდება, - ამბობს ცხოველთადაცველი ლია მბელაძე.

- უსახლკარო ცხოველებს ბულოვარში უკვე 7 წელია ვკვებავ. დღესფინარიუმის მიმდებარე ტერიტორიაზე მყავს რამდენიმე ძაღლი. გამოსავალი ერთია - აუცილებელია მასიური სტერილიზაცია და დარბაზი, როგორც სოფლებში, ისე რეგი-



ონებში. ასევე, მათი აღრიცხვაზე აყვანა, გამკაცრებული კანონი და ჯარიმები. დღითი დღე მატულობს მიუსაფარ ცხოველთა რაოდენობა, ადრე 15-ს, ახლა კი 40-მდე ძაღლს ვაპურებ და ეს ზღვაში წვეთია. ბევრი ახალმიტოვებული ძაღლია, არ აქვს გაკეთებული სტერილიზაცია-კასტრაცია და მრავლდებიან. ლეკ-

ოს დახმარებით, შემოიღობება ტერიტორია, ჩაიდგება სახლები და ყველა მიუსაფარი ცხოველი დაბი-



ნადდება, - ამბობს ცხოველთადაცველი თინა ღინასაძემ.

ქალაქში არ არის ქუჩა, სკვერი, ეზო, სადაც მიუსაფარი ცხოველი არ შეგხვდება. და ამ ფონზე - რატომ არ დაიწყო ჩაქვიში, 13 შექტარზე დაგეგმილი მრავალფუნქციური სარეკრეაციო სივრცის მშენებლობა, რომელსაც უნდა ჰქონოდა ზამთრისა და ზაფხულის ვოლიერები, იზოლაციის და სხვა? კეთილმოწყობის სამსახურში, რომელიც ამ პროექტს კურირებს, გვიპასუხეს, რომ 20-25 დღეში ეცოდინებათ ზუსტად პასუხი იმასთან დაკავშირებით, თუ რა ბედი ეწევა მუნიციპალურ თავშესაფარს. ამ ეტაპზე სხვა დეტალები უცნობია.

ერთი რამ ცხადია, თუ არ დაიწყება ცხოველთა აღრიცხვა, მათი სტერილიზაცია-კასტრაცია, ასევე დარბაზი, ძაღლების მომრავლების გამო ქუჩებში შექმნილ უმართავ პროცესს ვერ შევჩერებთ.

137 ქვეყანას შორის... 90-ე

გაეროს გლობალური მდგრადი განვითარების ორგანიზაციამ მსოფლიოს ქვეყნებში ბედნიერებისა და ცხოვრებით კმაყოფილების ყოველწლიური რეიტინგი გამოაქვეყნა.



6 წელია, პირველ ადგილზე კვლავ ფინეთია. ყველაზე ბედნიერი ქვეყნების ხუთეულში მოხვდნენ დანია, ისლანდია, ისრაელი და ნიდერლანდები, სიაში მომდევნო ადგილებს იკავებენ შვედეთი, ნორვეგია, შვეიცარია, ლუქსემბურგი და ახალი ზელანდია.

ბედნიერების კუთხით რეიტინგში რუსეთს 70-ე ადგილია, სომხეთი - 79-ზე, საქართველო - 90-ზე, უკრაინა - 92-ზე, აზერბაიჯანი კი სიაში არ არის.

ანგარიშში წარმოდგენილ 137 ქვეყანას შორის ყველაზე დაუცველები იყვნენ სიერა-ლეონე, ლიბანი და ავღანეთი.

ბედნიერების ყოველწლიური ანგარიშები ეფუძნება Gallup International-ის მონაცემებს, რომელიც მსოფლიოს 130-ზე მეტ ქვეყანაში ატარებს გამოკითხვებს. რეიტინგში გამოთვლები მოიცავს ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა მოსახლეობის შემოსავლის დონე, ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობა, საზოგადოებაში კორუფციის არსებობა, თავისუფლება და ურთიერთდახმარება.

ამირან ბურიძე

„თბილისისთვის კარი ღია რჩება...“

გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრ არარატ მირზოიანთან შეხვედრა, პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მუშაობს 3+3 ფორმატის მეორე შეხვედრაზე, რომლის კარგლებშიც თბილისისთვის კარი ღია რჩება. მისი თქმით, დასავლეთი უკვე აქტიურად მუშაობს 3+3 ფორმატის ძირის გამოთხარაზე.



„ქართული მხარე ჯერ კიდევ ფიქრობს ამ ფორმატში [3+3] შემოერთებაზე, მაგრამ პირველი შეხვედრა შედგა, თბილისისთვის კარი ღია რჩება. ახლა ვმუშაობთ 3+3 ფორმატის მეორე შეხვედრის მოწყობაზე“, - განაცხადა ლავროვმა.

ამირან ბურიძე



# „ქურნალისტის პროფესია ჩემთვის ყველაზე ალბათულ ხარისხში დგას“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ჩვენი სტუმარია ხულოს მუნიციპალიტეტის „სოციალური სერვისების ცენტრის“ დირექტორი **ოთარ ცინარიძე**.

**- ბატონო ოთარ, წლების განმავლობაში ქურნალისტურ საქმიანობას ეწეოდით. რატომ აირჩიეთ ეს პროფესია?**

